

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	“ევროპეისტიკა“(ინგლისური ფილოლოგია/ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა/ტრანსლატოლოგია/გერმანული ფილოლოგია/ფრანგული ფილოლოგია)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სტუდენტს კვალიფიკაცია ენიჭება არჩეული სასპეციალიზაციო მოდულის შესაბამისად, კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი (მოდულები: ინგლისური ფილოლოგია/ ტრანსლატოლოგია/ ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა); • გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი • ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრი;
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და აერთიანებს ხუთ სასპეციალიზაციო მოდულს: პირველ სემესტრში ზოგადი სავალდებულო კურსების (30 კრედიტი) შესწავლის შემდეგ მაგისტრანტი მეორე სემესტრიდან ირჩევს რომელიმე სასპეციალიზაციო მოდულს სავალდებულო კურსებს, ხოლო მესამე სემესტრიდან, გამოკვეთილი ინტერესების შესაბამისად, ირჩევს დისციპლინებს შესაბამისი სასპეციალიზაციო მოდულის კურსების კონცენტრაციიდან (30 კრედიტი), ბოლო, მეოთხე სემესტრში წერს სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მოცემული სამაგისტრო პროგრამის მიზანია ფილოლოგიის თანამედროვე დარგებში კომპლექსური ცოდნით აღჭურვილი, მრავალმხრივ განვითარებული, თანამედროვე მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც უნარი შესწევს, ღრმად და სისტემურად გაიაზროს და პრაქტიკაში გამოიყენოს შეძენილი ცოდნა.
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება: მაგისტრანტს აქვს დარგობრივი სფეროს უახლესი თეორიული საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა; შესწავლილი აქვს სხვადასხვა ლინგვისტური სკოლებისა და მიმდინარეობების ისტორია და თეორიები; ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიის, ევროპული ლიტერატურული პროცესის ძირითადი მიმართულებებისა და ჟანრების ისტორიის, კვლევის მეთოდებისა და ინტერპრეტაციის ტექნიკის ღრმა და სისტემური ცოდნა; შესწავლილი აქვს ძირითადი მთარგმნელობითი თეორიები, პრინციპები; აქვს ევროპული ენების, ლიტერატურის, კულტურის ღრმა და სისტემური ცოდნა. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მაგისტრანტი ფლობს დარგისთვის სპეციფიკურ მეთოდებს, შეუძლია კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა, დაგეგმვა და განხორციელება ორიგინალურად, პროფესიულ დონეზე. შეუძლია შეძენილი ცოდნა გამოიყენოს პროფესიულ პრაქტიკაში. შეუძლია სწორად განსაზღვროს თავისი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზები. დასკვნის უნარი-ზოგადი: მაგისტრანტს შეუძლია თავის დარგში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. შეუძლია სათანადო დასკვნების გამოტანა და თავისი უნარ- ჩვევების მიხედვით პროფესიული საქმიანობის წარმართვა, პრობლემის გააზრება და ანალიზი ინტერდისციპლინურ კონტექსტში. კომუნიკაციის უნარი-ზოგადი: ზოგადი: ზოგადი: მაგისტრანტს გამომუშავებული აქვს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, დისკუსიის, დიალოგის კულტურა მშობლიურ ენაზე; მნიშვნელოვანწილად უვითარდება უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი (C 1 დონე); შეუძლია კვლევის შედეგების ზეპირი და წერილობითი პრეზენტაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პრეზენტაციების პროგრამების გამოყენებით. სწავლის უნარი: მაგისტრანტს შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს სწავლის გაგრძელება სწავლების მესამე საფეხურზე-დოქტურანტურაში. ღირებულებები: ღირებულებები: მაგისტრანტი ყალიბდება ერუდირებულ, ინტელექტუალურ პიროვნებად, რომელსაც აქვს

	ინტერკულტურული ურთიერთობების, ახალი ღირებულებების მიღებისა და დამკვიდრების უნარ-ჩვევები.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
საკონტაქტო	პროგრამის ხელმძღვანელები:
პირი	მარინა გიორგაძე, პროფესორი მობ.: 577 179799 e-mail: marinagiorgadze@bsu.edu.ge ნინო დვალიძე, პროფესორი მობ.: 593303963 e-mail: nino.dvalidze@bsu.edu.ge